პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
შაბათი
21 მარტი
№ 68 (180010)
ფასი 2 კაპ.

საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით ზედიზედ მერვედ დაჯილდოებული საბჭოთა საქართველოს მშრომელები მტკიცე სიტყვას იძლევიან, რომ ახალი გაქანებით გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარენ მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დასახულ ამოცანათა განხორციელებას.

ჯილდო აღმშენებლობითი შრომისათვის

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით

მეათე ხუთწლედი ისტორიის კუთვნილება გახდა. მაგრამ ყველაფერი, რითაც იგი ღირსშესანიშნავი იყო საბჭოთა საქართველოსათვის, კვლავ გრძელდება მისი მშრომელების დღევანდელ საქმეებში, ეხმარება მათ მიაღწიონ ახალ გამარჯვებებს. მეათე ხუთწლედი მეფერთმეტე ხუთწლედში პროგრესის საძირკველია, საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალი მიღწევების საწინდარია.

საქართველოს მშრომელთა წარმატებები სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის შესრულება აღინიშნა იმით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკას ზედიზედ მერვედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ამ მაღალი ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით, რომელიც 20 მარტს გაიმართა თბილისში.

საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებაში რესპუბლიკის მშრომელთა წვლილის, იმ დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მაღალი შეფასებაა, რომელიც გასწიეს პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა წარმატებით განსახორციელებლად ქალაქისა და სოფლის მშრომელთა დარაზმვისათვის.

საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის მიღწევები რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის დაჩქარებაში აღინიშნა პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

პარტიის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული მუშაობის მაღალი შეფასება გახდა ის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ სწორედ სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის დღეებში ჩაიწერა რესპუბლიკის შრომითს მატიანეში ახალი სოციალისტური შრომის გმირების სახელები. მოწინავეთა დიდი ჯგუფი ხუთწლედის შედეგების მიხედვით ქვეყნის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

ყველა წარმატებაც, რომლებსაც საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით, შესაძლებელი გახდა იმ დაუცხრომელი ზრუნვისა და დიდი ყურადღების შედეგად, რომელსაც იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

20 მარტს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემისადმი მიძღვნილი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილენი.

აქტივის კრებაზე მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საინფორმაციო ბიუროებისა, საწარმოების, შენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებელი მუშაკები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ტ. ვ. როსტომაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ი. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი. კრების მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ვ. ტალიზინი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. ი. გრიშაკოვი. აქვე არიან სტუმრები, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის გამო გამართულ ზეიმზე, — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის დელეგაცია აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ა. გასანოვის მეთაურობით და სომხეთის სს რესპუბლიკის დელეგაცია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ბ. გალუმიანის მეთაურობით.

კრების პრეზიდიუმში არიან საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

უდიდესი აღფრთოვანებით, ხანგრძლივი მქუხარე ტაშის გრიალში დამსწრეთ კრების საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ნ. ვ. ტალიზინს, რომელმაც რესპუბლიკის მშრომელებს მხურვალედ მოულოცა დამსახურებული საპატიო ჯილდო და გადასცა მათ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მილოცვა და მისი სახელით ახალი დიდი წარმატებები უსურვა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

ამხ. ნ. ვ. ტალიზინის გამოსვლის დროს გაიმართა საქართველოს სსრ ხელმძღვანელებისა და მშრომელთა წარმომადგენლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის ცერემონია.

აზმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირის ამხ. ნ. ა. პეტრიაშვილს, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო მატარებლის მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირის ამხ. ა. ი. დათაშვილს, თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანამშრომელს ამხ. ვ. ბ. ქემაშვილს სცენაზე შემოაქვთ დროშა და გადასცემენ მას ნ. ვ. ტალიზინს. დროშას იბარებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. პ. გ. გილაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ა. პატარიძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. ნ. ორჯონიკიძე, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ამხ. ნ. ვ. დუმბაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. გ. გვერდწითელი, ჭუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის გამომცდელი მძღოლი ამხ. ბ. ი. ვაშაკიძე, ხელვაჩაურის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ჰ. აბაშიძე, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. მ. საარიანი, გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშის“ მეჩაიე ამხ. ნ. გ. საქანია, გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ამხ. ა. ზ. ოლოჭაშვილი, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკობეთა ბრიგადირი ამხ. გ. ნ. კურტანიძე, გარდაბნის საბჭოთა მეურნეობის მეგობსტნეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. მ. მ. გასანოვი.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საპატიო ჯილდოს გადაცემას. ყველანი ფეხზე დგებიან. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

აქტივის კრებაზე გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ჯ. უბილავა, საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ი. აზიროვი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უფროსი ოპერატორი ამხ. ა. ლ. ბურჯანაძე, ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების დირექტორი ამხ. მ. ფ. ხალვაში, აზმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ნ. ა. პეტრიაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ამხ. ლ. ს. ხარბედია, საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ვ. ბურჯანაძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ამხ. თ. ნ. ლოლაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ი. შერბაკოვი, საწარმოო გაერთიანება „საქსამთროქიმმრეწვის“ გენერალური დირექტორი ამხ. ნ. შ. ცხაკაია.

კრების მონაწილეებს და მათი სახით რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს გულითადად მიესალმნენ და სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და საპატიო ჯილდო მიიღოცეს ამერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელებმა — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ა. გასანოვმა და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ბ. გალუმიანმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა კრების მონაწილეებს აცნობა, რომ ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის, სომხეთის სს რესპუბლიკისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

ერთხმად მიიღეს საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების რეზოლუცია.

კრების მონაწილენი ამტკიცებენ საქართველოს მშრომელთა ახალ, გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს 1981 წლისათვის.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

აქტივის კრების მონაწილეებმა ხანგრძლივი ოვაციით გამოხატეს რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის უდიდესი მადლობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა საქართველოს შემდგომი აყვავებისათვის.

აქტივის კრებამ ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, საქართველოს მშრომელთა მჭიდრო შეკავშირება ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, თანამედროვეობის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო.

✦ ✦ ✦

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატებისა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მონაწილეობით. (საქინფორმი).



სურათზე: საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის დროს. გ. კიკვაძისა და ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორონიკა).

საიმედოობის გარანტია

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებისა და ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით განიხილეს ცხრამეტ მარტს მოსკოვში გახსნილ აქტივის კრებაზე.

მოხსენება გააკეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ი. ხიტრუნმა.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ნ. ბურიევი, ა. კ. ანტონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეები ვ. ა. კარლოვი, ი. ი. სახნიუკი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. კ. მესიაცი, ა. ა. ეფიმოვი, კ. ნ. ბელიაკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რესპუბლიკური დათვალიერება. მის შედეგებზე, საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მანქანებისა და იარაღის მომზადების ხარისხზე, ორგანიზებული თესვისათვის გამიზნულ ღონისძიებებზე იმსჯელეს „მრგვალ მაგიდასთან“ „საქსახსოფლტექნიკის“ პრეზიდიუმში.

საუბარში მონაწილეობდნენ „საქსახსოფლტექნიკისა“ და მისი რაიონული სამსახურების, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პასუხისმგებელი მუშაკები.

მინდვრის სამუშაოებისათვის ტექნიკის მომზადების ხარისხზე ინფორმაცია გააკეთეს „საქსახსოფლტექნიკის“ რემონტისა და ტექნიკური მომსახურების მთავარი სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ნ. ჯანდიერმა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსმა დ. ბედიამ.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში უკვე დაიწყო საგაზაფხულო კულტურების მასობრივი თესვა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს დამკვრელური შრომით უპასუხებენ.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის სამსახურებს. მანქანების დიდმწარმოებლური მუშაობა, როგორც ეს აღინიშნა პარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.

საგაზაფხულო მინდორს — კარგი ტექნიკა

გაზაფხულისათვის მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დროული და ხარისხიანი მომზადებისათვის, ხობისა და გარდაბნის რაიონების მექანიზატორების მიერ დაწყებულ შემკეთებელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, „საქსახსოფლტექნიკის“ გაერთიანებები და სპეციალიზებული საწარმოები.

ტექნიკას არემონტებენ ყველაზე კვალიფიციური ოსტატები.

მომდინარე წლის პირველი მარტისათვის, როგორც დათვალიერებამ გვიჩვენა, შეკეთებულია და მინდორში გასასვლელად მზად არის ოცი ათასამდე ტრაქტორი, რაც 93,4 პროცენტს შეადგენს. ეს ბევრად აჭარბებს გასული წლის მაჩვენებელს.

წარმატებით განაახლეს ტექნიკა წალკის, თერჯოლის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის რაიონების მექანიზატორებმა.

მაგრამ რემონტი ყველგან რიტმულად არ მიმდინარეობს. რესპუბლიკის მთელ რიგ მეურნეობებში ტექნიკის ნაწილი ალოობის დასაწყისისათვის შეუკეთებელია. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ, ოქტომბრის, აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკებში, ასპინძის, ბოგდანოვკის რაიონებში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომზადების ტემპი ნელი აღმოჩნდა. სერიოზული შეცდომები დაუშვეს მანქანების მოვლაში გორის, ქარელის, ლაგოდეხის, სიღნაღის რაიონებმა.

„საქსახსოფლტექნიკის“ სამსახურებმა, ითქვა „მრგვალ მაგიდასთან“, შეიმუშავეს კომპლექსური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ზუსტი და მაღალხარისხოვანი რემონტის უზრუნველყოფაში, საგაზაფხულო თესვის სანამუშოდ და თავის დროზე დამთავრებაში.

(საქინფორმი).

ჯილდოს გადაცემა

20 მარტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ე. ვინკელმანმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვ. ვ. კუზნეცოვს კრემლში გადასცა კარლ მარქსის ორდენი, რომლითაც იგი დააჯილდოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებაში, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში დამსახურებისათვის.

ვ. ვ. კუზნეცოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ს

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები —პრაქტიკულ საქმედ!

მადლი ჰქმენი...

დელეგატის ფიქრები და საქმენი

— მაინც რომელი დღე დაგახსომდათ ყველაზე მეტად? — ვეკითხებით ჟუჟუნას.

— 25 თებერვალი. ჯერ იყო და, ამ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. შევარდნაძეს სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება მიენიჭა. გარდა ამისა, ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შე-60 წლისთავის დღე, ამ დღეს მომანიჭეს „კავშირგაბმულობის ოსტატის“ სპატიო წოდება და საკავშირო კავშირგაბმულობის მინისტრმა ამხ. ვ. ა. შამშინმა გადმომცა სამკერდე ნიშანი. და, სხვა რომ არა იყოს რა, 25 თებერვალი ჩემი დაბადების დღეა...

— როგორ მოხვდით კავშირგაბმულობის სისტემაში?

— სკოლა რომ დავამთავრე, ამხანაგებმა საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში მიმიყვანეს. ტელეფონების არაფერი გამეგებოდა. მათთან ერთად დავიწყე მუშაობა. ჩემი მასწავლებელი სვეტლანა არაქელოვა იყო. წლები გავიდა, ჩემი ამხანაგები წავიდ-წამოვიდნენ, მე კი შევრჩი, არც ვნანობ... დასანანი მართლაც არაფერი აქვს ჟუჟუნას. მუშაობის დაწყების პირველსავე წელს პირველი კლასის ტელეფონისტი გახდა (ასეთი რამ კი ძალზე იშვიათია კავშირგაბმულობაში), რამდენჯერმე გაიმარჯვა კონკურსში „პროფესიამი საუკეთესო“ (ერთ-ერთი ასეთი გამარჯვებისათვის ვოლგისპირეთის ტურისტული საგზურითაც დაჯილდოვეს), 1978 წელს კი გადასცეს მედალი „შრომითი მამაცობისათვის“.

ყველას კარგად მოეხსენება კავშირგაბმულობის სფეროში არსებული ხარვეზები. ამის შესახებ ყრილობაზეც იყო საუბარი. მაგრამ იქ დარგის წინსვლა-გაუმჯობესების პერსპექტივებზეც ისაუბრეს. გათვალისწინებულია, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში 1,4-ით გაიზარდოს ტელეფონების რაოდენობა, ამუშავდეს ახალი სატელეფონო სადგურები და, რაც მთავარია, ამაღლდეს მომსახურების ხარისხი...

სკკპ XXVI ყრილობაზე საკავშირო კავშირგაბმულობის დარგი სულ თერთმეტი დელეგატით იყო წარმოდგენილი. აქედან ერთი დელეგატი იყო საქართველოდან, ერთი — ყაზახეთიდან, დანარჩენი ცხრა კი რუსეთის სფსრ რესპუბლიკიდან.

— ძალიან დავუახლოვდი ჩიმკენტელ ტელეფონისტ გოგონას ანარგულ ჯაისამბაევას. ცოტა მეძნელებოდა კიდეც მასთან განშორება. ვინ იცის, როდის შევხვდები, — ამბობს ჟუჟუნა. — არასოდეს დამავიწყდება შეხვედრა ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში, ჩვენი სახელოვანი კოსმონავტების მასპინძლობა „ვარსკვლავეთა ქალაქში“... ეს — რაც შეეხება დაგეგმილ შეხვედრებს. მაგრამ გვქონდა გაუთვალისწინებელი შეხვედრებიც. საქმე ის არის, რომ ერთი ჩვენი დელეგატის, ჩოხატაურელი მეჩაიის ციალა სიხარულიძის ვაჟი სამხედრო სამსახურს მოსკოვის ოლქში გადის. ჰოდა, იმ სამხედრო ნაწილსაც ვეწვიეთ. სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ მოიწვია კრება, შეხვედრა მოგვიწყვეს ჩვენ, ყრილობის დელეგატებს. კრების დამთავრების შემდეგ კი გვითხრეს, რომ სანიმუშო ქართველ ჯარისკაცს შვებულებაში გამოუშვებდნენ და ახლა ჩვენი ციალა თავის ვაჟთან ერთად ჩამოვიდა თბილისში.

— მართლაც საოცრად თბილი საღამო იყო, — ჩაერია საუბარში თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშა, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ნუნუ ლორია. — დამშვიდობებისას რუსმა ჯარისკაცებმა ჟუჟუნას პატივსაცემად ქართულად იმღერეს „ჟუჟუნა წვიმა“...

— ყველაზე ბედნიერ დღეს თუ გაიხსენებთ თქვენი ცხოვრებიდან? — ისევ ვეკითხებით ჟუჟუნას.

—ჩემი ცხოვრების ლამაზი დღეები სულ სამსახურთან არის დაკავშირებული. წარმოიდგინეთ, რა სიხარული, როცა მოსკოვში, ყრილობაზე, დაბადების დღეს გილოცავენ სხვა დელეგატები და... შენი აბონენტები ბინიდან. ჩემს აბონენტებს კი ბევრს პირადადაც ვიცნობ. ზოგჯერ ღილით დამირეკავენ, მომაკითხავენ... მახსენდება ქართველი მსახიობებისა და სპორტსმენების წარმატება უცხოეთში. მახსენდება, როგორ მიხაროდა, როცა ყოველ საღამოს ვუკავშირდებოდით ინგლისს, საბერძნეთს, ტელეფონთან მოდიოდნენ აღფრთოვანებული რობერტ სტურუა ან რამაზ ჩხიკვაძე და საქართველოს აუწყებდნენ მისი ხელოვნების უსაჩინოესი დესპანების არნახულ წარმატებას ელადასა და შეჭსპირის სამშობლოში. ასეთ დროს მგონია ხოლმე, ჩემი ნამეცავ წვლილიც არის ამ წარმატებაში...

კავშირგაბმულობის სააქტო დარბაზიდან ქორწინების სახლში გადავინაცვლეთ. აქ სარვამარტო შეხვედრა მოუწყვეს ოქტომბრის რაიონის მოწინავე მშრომელ ქალებს. სასიამოვნო მუსიკის, იებვეა და ყოჩივარდების, აყვავებული ნუშის ტოტების ბენეფისი იყო ამ ლამაზი სასახლის ფოიეში. საღამოს წამყვანმა სიტყვა მისცა სკკპ XXVI ყრილობის დელეგატს, თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტს ჟუჟუნა ზაქარიაშვილს:

— ყველა მანდილოსანს, დედას, დას, მეგობარს ვუოლოცავ გაზაფხულის ამ ნათელ დღესასწაულს. ვუსურვებ ამ გაზაფხულივით ლამაზ სიცოცხლეს, სითბოს, სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას, შვილებს, შვილიშვილებს...

გვიან საღამოს ერთად მივუყვებით სანაპიროს. ენაწყლიანია ჩემი თანამესაუბრე.

— ყველაზე მეტად ბავშვები, ყვავილები, წიგნები და მუსიკა მიყვარს, — მეუბნება და ყვავილების ვეებერთელა თაიგულს შუაზე მიყოფს. ვიუარე, ეს ხომ თქვენ გეკუთვნით-მეთქი. იწყინა: მე მაშინ მიხარია, როცა ჩემ ირგვლივ სხვებსაც უხარიათ, ნათელი და ბედნიერი სახეები აქვთ. ამ შეგნებით ვცხოვრობ და მიმართლებს კიდეც. ხომ გაგიგონიათ: მადლი ჰქმენი, ქვაზე დადე, გაიარე — წინ დაგხვდებაო. ახლა კი ყრილობის სულისკვეთება უნდა დავამკვიდრო მშობლიურ კოლექტივში, აი ჩემი საფიქრალი.

ნანა ჯოხარიძე.

ალიარება, დაფასება

ლამარა ალანია— სოციალისტური შრომის გმირი

ლამარა ალანია 27 წლის წინათ საშუალო სკოლის ატესტატით მოვიდა ჩვენს ფაბრიკაში სამუშაოდ. ხელგამოჭრე ახალგაზრდამ მუყაითი შრომით მალე კოლექტივის ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა და აი, 1956 წლიდან დღემდე იგი უცვლელად მუშაობს მწვანე ჩაის ფოთლის საგრეხ განყოფილებაში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი გასაჭირი ჰქონია ფაბრიკას, მაგრამ ერთხელაც არ ყოფილა, რომ ლამარას ზურგი შეექცოს სიინელისათვის. მოგეხსენებათ, ჩაის ფოთოლი ერთბაშად შემოდის. ეგრეთ წოდებული პიკების დროს დღედაღამ დაძაბული მუშაობა გვიხდება, რომ ლორთქო დუყები არ გაგვიფუჭდეს. სწორედ ამ დროს გაორკეცებული ენერგიით შრომობს ხოლმე ლამარა და ყველას თავდადებული გარჯის მაგალითს უჩვენებს.

1972 წლიდან რესპუბლიკაში პირველად ჩვენს ფაბრიკაში დაინერგა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატების რ. ხოფერიას და რ. ჯინჯოლიას შავი ბაიხაო ჩაის მექანიზებული ხაზები, რომელმაც მკვეთად გააუმჯობესა ჩაის ხარისხი და საწარმოს დიდი ეკონომია მისცა. ლამარა ალანია პირველი დადგა ამ ახალ ხაზებთან და დღემდე არ მოსცილებია მათ, სისტემატურად მაღალ მაჩვენებლებს აღწევს. პირადი მეათე ხუთწლედის დავალება ჯერ კიდევ შარშან, პირველ მაისს შეასრულა. ხუთწლედში 100 ტონაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა და 20 ათასი მანეთი დაუზოგა სახელმწიფოს ნედლეულის, სათბობის და ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვით.

ლამარამ ჩინებულად დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედიც. მან ჯერ კიდევ სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის დღეებში შეასრულა ახალი ხუთწლედის პირველი კვარტალის გეგმა-ვალდებულება. მისი რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტი ყოველწლიურად 2 ათას მანეთს აღწევს.

ლამარა ალანიას მინიჭებული აქვს საუკეთესო დამრიგებლის წოდება. მის მიერ აღზრდილი 11 კვალიფიციური მუშა წარმატებით შრომობს ფაბრიკაში.

თავდაუზოგავი, ნაყოფიერი გარჯისათვის ლამარა ალანია არაერთხელ დაჯილდოებულა ორდენებითა და მედლებით, მაგრამ მისი შრომა ყრილობის წელს პარტიამ და მთავრობამ განსაკუთრებულად დააფასეს. ამ დღეებში ლამარას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

ეს დიდი ჯილდო ფაბრიკის მთელი კოლექტივის, ჩაის მრეწველობის თითოეული მუშაკის შრომის აღიარება და დაფასებაც არის. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენმა ფაბრიკამ ამას წინათ ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა და ახლა ყველა დარაზმულია მისი უთუოდ შესრულებისათვის.

ვ. თოდუა,

ზუგდიდის № 2 ჩაის ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

მეათე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ:

საქართველოს სს რესპუბლიკაში

ქუხაჯეთის ანს რესკუბლიკა

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

დემიანენკო ივანე ივანეს ძე — სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის ხარატი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

სოლემიზიდი თამარ ონოფრეს ასული — სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის კონტროლიორი.

რესკუბლიკური დაქვემდებარების რაიონები და ქალაქები ხალხთა მეგობრობის ორდენით

ჯაფარიძე შალვა ალექსანდრეს ძე — თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის დირექტორი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბაკურაძე გივი ლავრენტის ძე— თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის ჩამომსხმელი.

ნიკოლაიშვილი კარლო მანასეს ძე „საქტრანსგაზის“ გაერთიანების დირექტორი.

III ხარისხის შრომითი დიდების ორდენით

ჩაბაჯაური ტარიელ შალვას ძე — გაერთიანება „საქტრანსგაზის“ მაგისტრალური გაზსადენების უყაზეგის სახაზო საწარმოო სამმართველოს მილგამყვანი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

ელძაროვი რევაზ ზაქარიას ძე — თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის გამომწველი.

მეტრეველი ოთარ სერგის ძე— თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის ხარატი.

მჭედლიშვილი გივი ილიას ძე — „საქმაუროვგეოთერმის“ სამმართველოს ოპერატორი.

სამარინი მიხეილ ივანეს ძე — „საქტრანსგაზის“ გაერთიანების მაგისტრალური გაზსადენების საგურამოს სახაზო საწარმოო სამმართველოს ოპერატორი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

დევაძე გურამ ალექსანდრეს ძე — გაერთიანება „საქტრანსგაზის“ ახალციხის თხევადი გაზის ჯგუფური ბაზის კომპრესორების მემანქანე.

კაზაკოვი პეტრე სტეფანეს ძე — გაერთიანება „საქტრანსგაზის“ თბილისის თხევადი გაზის სასაქონლო ჯგუფური ბაზის ოპერატორი.

სურმავა დიმიტრი რევაზის ძე — „საქმაუროვგეოთერმის“ სამმართველოს მბურღავი.

— საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის „ტყიბულის“ საწმენდი სანგრევის მეშახტე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

გეკაძე ნოდარ ვახტანგის ძე— „საქსახშახტპროექტის“ ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი.

გოგელაშვილი კლავდიუს ისიდორეს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის შახტის პროფკავშირის საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე.

გოლოვანოვა ზინაიდა სიმონის ასული — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკის „ტყიბულის“ ქვანახშირის მამდიდრებლის მეაპარატე.

კოვალი ანატოლი ანატოლის ძე საქქვანახშირავტომატიკის სამონტაჟო-გასამართავი სამმართველოს „საქნეირგოქვანახშირის“ ელექტროზეინკალი.

მიქაბერიძე ბენო გრიგოლის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ — აღმოსავლეთი-2“ შახტის ელექტროზეინკალი.

მუმლაძე გიორგი გერვასის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ № 1 შახტის საწმენდი სანგრევის მეშახტე.

სოფრომაძე მიხეილ ერმილეს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ „აღმოსავლეთი-2“ შახტის საწმენდი სანგრევის მეშახტე.

სულაბერიძე ეორა რაჟდენის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის შახტის შიდასაშახტო ტრანსპორტის მეშახტე.

ფარჩხიძე ომარ ილიას ძე—საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ „აღმოსავლეთი-2“ შახტის სამთო ოსტატი.

ქათამაძე ამბროსი დავითის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის „ტყიბულის“ შემკეთებელი მესამაგრე.

ცირეკიძე შაქრო მინას ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ მთავარი მექანიკოსი.

ჭანკვეტაძე რაჟდენ ილიკოს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის „ტყიბულის“ საწმენდი სანგრევის მეშახტე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 2 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

მეათე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ:

საქართველოს სს რესპუბლიკაში

ქუხაჯეთის ანს რესკუბლიკა

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

დემიანენკო ივანე ივანეს ძე — სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის ხარატი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

სოლემიზიდი თამარ ონოფრეს ასული — სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის კონტროლიორი.

რესკუბლიკური დაქვემდებარების რაიონები და ქალაქები ხალხთა მეგობრობის ორდენით

ჯაფარიძე შალვა ალექსანდრეს ძე — თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის დირექტორი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბაკურაძე გივი ლავრენტის ძე— თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის ჩამომსხმელი.

ნიკოლაიშვილი კარლო მანასეს ძე „საქტრანსგაზის“ გაერთიანების დირექტორი.

III ხარისხის შრომითი დიდების ორდენით

ჩაბაჯაური ტარიელ შალვას ძე — გაერთიანება „საქტრანსგაზის“ მაგისტრალური გაზსადენების უყაზეგის სახაზო საწარმოო სამმართველოს მილგამყვანი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

ელძაროვი რევაზ ზაქარიას ძე — თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის გამომწველი.

მეტრეველი ოთარ სერგის ძე— თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის ხარატი.

მჭედლიშვილი გივი ილიას ძე — „საქმაუროვგეოთერმის“ სამმართველოს ოპერატორი.

სამარინი მიხეილ ივანეს ძე — „საქტრანსგაზის“ გაერთიანების მაგისტრალური გაზსადენების საგურამოს სახაზო საწარმოო სამმართველოს ოპერატორი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

დევაძე გურამ ალექსანდრეს ძე — გაერთიანება „საქტრანსგაზის“ ახალციხის თხევადი გაზის ჯგუფური ბაზის კომპრესორების მემანქანე.

კაზაკოვი პეტრე სტეფანეს ძე — გაერთიანება „საქტრანსგაზის“ თბილისის თხევადი გაზის სასაქონლო ჯგუფური ბაზის ოპერატორი.

სურმავა დიმიტრი რევაზის ძე — „საქმაუროვგეოთერმის“ სამმართველოს მბურღავი.

ელეფანეკო ანატოლი ტროფიმეს ძე — თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის ჩამომსხმელი.

ბოლოთაშვილი ალექსანდრეს ძე — „საქტრანსგაზის“ გაერთიანების ბაგისტრალური გაზსადენების ბაგაზეგის სახაზო საწარმოო სამმართველოს ოპერატორი.

ბერიძე ალექსანდრეს ძე — „საქტრანსგაზის“ გაერთიანების ბაგისტრალური გაზსადენების ბაგაზეგის სახაზო საწარმოო სამმართველოს ოპერატორ

თბილისის უნივერსიტეტი — საუკეთესოთა შორის

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი და მეორე ფულადი პრემია მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ეს ჯილდოები საქართველოს უძველესი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს მიენიჭა დიდი წვლილისათვის, რომელიც მან შეიტანა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმისა და მოლიანად მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებაში, იდეურ-აღმზრდელობითი, სასწავლო-მეთოდოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა და სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის.

როცა უმაღლესი სასწავლებლის წარმატებანი განმარტა, უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— უნივერსიტეტის კოლექტივის მიზანია გადაწყვიტოს უმაღლესი სკოლის წინაშე სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანები ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების, საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარების დარგში, განახორციელოს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

მეათე ხუთწლედში დიდი მუშაობა გავწიეთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის, მეცნიერული კვლევის განვითარებისათვის. თბილისის უნივერსიტეტმა შეასრულა ხუთწლედისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და საქართველოს წამყვანი სასწავლო-მეცნიერო და განათლების მეთოდიკური ცენტრი გახდა.

კომუნისტური მორალისა და ეთიკის სულისკვეთებით სტუდენტობის აღზრდის ახალი, უფრო ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების ძიებაში უმაღლესი სასწავლებლის კათედრებმა შეისწავლეს განვითარებული სოციალიზმის აქტუალური საკითხები. ამ მუშაობის შედეგად შეიქმნა შრომების კოლექტიური კრებული „განვითარებული სოციალიზმის საკითხები“, რომელიც გასული წლის დამლევს გამოიცა.

უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების მრავალი წლის სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები შეჯამებულია შრომების კრებულებში „სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შესახებ“, „შრომითი სემესტრი და სტუდენტთა კომუნისტური აღზრდა“. ბევრი რამ კეთდება ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდისათვის, კიდევ უფრო გაფართოვდა კონტაქტები ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე იენის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ლოძის (პოლონეთი), ბრატისლავის (ჩეხოსლოვაკია), ბუდაპეშტის (უნგრეთი) და სხვა უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან.

35 ათასზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა უნივერსიტეტის კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მოეწყო დევიზით „ლენინზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დოქტრინაა“.

უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს თანამედროვე წარმოების მზარდ მოთხოვნილებას მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასწავლო პროცესის რადიკალურ სრულყოფას, უნივერსიტეტისა და სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების მჭიდრო კონტაქტების გაფართოებას.

მეათე ხუთწლედში შეიქმნა სწავლების ახალი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი 14 სასწავლო კაბინეტი, ლაბორატორია და ავტომატიზებული აუდიტორია. გიხსნა მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მყარი სხეულისა და მოლეკულური მექანიზმების, რადიაციული ფიზიკის, კანცეროგენეზის საპრობლემო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რესპუბლიკური მასსაეჭტრული ცენტრი, ცილების, ამინომჟავებისა და სასურსათო პროდუქტების ანალოგების მისაღები, გაზიფიკაციის პრობლემების მათემატიკური მოდელირების ლაბორატორიები და სხვა.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მესამე შრომით სემესტრში. ათასამდე ქალაშვილი და ბაბუკი შრომობდა სმოლენსკისა და ვოლოგდის ოლქებში, ობიექტების მშენებლობაზე საქართველოს სხვადასხვა რაიონში, აგრეთვე საოლიმპიურ ქვეყნებში, მათ შეასრულეს 15 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების სამუშაოები.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მესაზღვეთა, სასაზღვრო რაიონების შრომელთა და ახალგაზრდობის ზეკობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის გაწეული დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის წითელდროშოვანი ანსამბლის უფროსს მაიორ ლეონიდ პეტრეს ძე ლუკაშოვს მიენიჭა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საკავშირო და ახალი ამბების საინფორმაციო ბიულეტენი

დედამიწის ზურგზე

ცხოვრება

20 მარტი

ყრილობა დამთავრდა

ვარშავა. აქ მუშაობა დაამთავრა დემოკრატიული პარტიის XII ყრილობამ. ეს პარტია ხალხის ერთიანობის ფრონტში შედის. ყრილობის დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ დემოკრატიული პარტია მტკიცედ უჭერს მხარს პოლონეთში სოციალიზმის განმტკიცებას და ცნობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ დადებულ საერთაშორისო კავშირებს. თავის პოლიტიკურ პროგრამას დემოკრატიული პარტია განახორციელებს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიასთან და გლეხთა გაერთიანებულ პარტიასთან მჭიდრო კავშირით. დემოკრატიული პარტია ცნობს მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელ როლს სოციალიზმის მშენებლობაში, შეგნებული აქვს ამ კლასის ისტორიული როლი.

ყრილობა მიესალმება და მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებებს, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობაზე წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ყრილობის დელეგატებს, დემოკრატიული პარტიის ყველა წევრს ეს წინადადებები მიიჩნიათ ახალ დიდმნიშვნელოვან ინიციატივად, რომლის მიზანია თანამედროვეობის გადაუდებელ პრობლემათა გადაჭრა და გამალებული შეიარაღების ალაგმვა.

სსრ კავშირთან, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან კავშირი, მეგობრობა და თანამშრომლობა, აღნიშნულია დოკუმენტებში, არის პოლონეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი საფუძველი, საერთაშორისო ასპარეზზე პოლონეთის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და მისი პოზიციების განმტკიცების გარანტია.

ყრილობამ აირჩია პარტიის ახალი ხელმძღვანელი ორგანოები. დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ე. კოვალჩიკი.

წინასაარჩევნო კამპანია

დასავლეთი ბერლინი. მასობრივი მიტინგით გახსნა წინასაარჩევნო კამპანია დასავლეთ ბერლინის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მომავალ ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც 10 მაისს გაიმართება.

ჩვენს პარტიას მიაჩნია, რომ მთელი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ძალების ძირითადი ამოცანაა იბრძოლონ სახიფათო გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებენ ამერიკის იმპერიალიზმი და ნატო, ნატოს იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე განალაგოს საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები, განაცხადა მიტინგზე დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ინგე კომპა. ამიტომაც სულით და გულით მივესალმებით და მხარს ვუჭერთ კონსტრუქციულ სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობაზე წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

სოციალური პროგრესის გზით

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ქაბული. ავღანეთის დედაქალაქში გაიმართა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმი. პლენუმზე მოხსენება გააკეთა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ბაბრაკ ქარმალმა. მაღალი შეფასება მისცა რა სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის შედეგებს, ბ. ქარმალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთის წარმატებანი მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმის წარმატებანია. საბჭოთა სახელმწიფოს პოზიცია ჩვენი ქვეყნის მიმართ ინტერნაციონალური და ძმური ხასიათისაა, სავსებით შეესაბამება ჩვენი რევოლუციის, ავღანეთის მშრომელი ხალხის ინტერესებს, თქვა მან.

როცა კრემლში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევთან საუბარს შეეხო, ბ. ქარმალმა აღნიშნა, რომ საუბრის დროს განიხილეს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის შემდგომი განვითარება, ავღანეთ-საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხარეები განუხრელად ეს-წრაფვიან ხელი შეუწყონ ავღანეთის ვითარების პოლიტიკურ მოწესრიგებას იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1980 წლის 14 მაისის განცხადებაში და ავღანეთ-საბჭოთა კავშირის 1980 წლის 16 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში. ვერავინ ვერ გვისაყვედურებს, რომ ჩვენ ცოტა რამ გავაკეთეთ რეგიონში ვითარების ნორმალიზაციისათვის, და ვერც ვერავინ ვერ გააკეთებდა ჩვენზე მეტს ამ თვალსაზრისით, განაცხადა ბ. ქარმალმა.

პაკისტანის თვითმფრინავთან დაკავშირებული ამასწინანდელი ინციდენტის შესახებ ბ. ქარმალმა თქვა, რომ ავღანეთმა ყველაფერი იღონა, რათა გადაერჩინა დაღუპვისაგან მგზავრები ქაბულის აეროპორტში. ავღანეთის ხელმძღვანელმა ირანსა და პაკისტანს მოუწოდა მოაწესრიგონ რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული პრობლემები, გადაჭრით მოიშორონ თავიდან სუბიექტური მოსაზრებანი, არაკეთილმოსურნეობა, წინაღმდეგობანი, რომლებიც ამას ხელს უშლიან, ჩვენი წინადადებანი პაკისტანის, აგრეთვე ირანის მთავრობებისადმი ამის შესახებ კარგად არის ცნობილი და კვლავაც მზადა ვართ განვიხილოთ ისინი ორმხრივ საფუძველზე, ხაზგასმით აღნიშნა მან.

ბ. ქარმალმა გადაჭრით დაგმო ამერიკის მაღალი თანამდებობის მოღვაწეთა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის განცხადებანი, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს იარაღი მიაწოდოს კონტრრევოლუციურ დაჭირავებულთა ბანდებს. ავღანელი ხალხი და ავღანეთის არმია ამას იმით უპასუხებენენ, რომ გააძლიერებენ დარტყმებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, და გარედან ვერავითარი დახმარება ვერ უშველის ჩასაფუშად განწირულ საქმეს. ამერიკის ადმინისტრაციის პროვოკაციულმა პოლიტიკამ შეიძლება მხოლოდ ხელი შეუშალოს ავღანეთის გარშემო სიტუაციის მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებას, აღნიშნა ბ. ქარმალმა.

ბ. ქარმალმა ხაზი გაუსვა, რომ სულ უფრო ძლიერად იჩენს თავს ავღანეთის რევოლუციის დემოკრატიული, ეროვნული, ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური ნიშნები, ამჟამად, თქვა მან, მჭიდროდ მივუახლოვდით უმნიშვნელოვანესი საერთო-დემოკრატიული ამოცანების გადაწყვეტას, მათ შორის ეროვნული სამამულო ფრონტის—საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას. პრაქტიკულად დამთავრდა საქმიანობა მასობრივი საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შექმნისათვის, რომლებიც ეროვნული სამამულო ფრონტის შემადგენელი ელემენტები უნდა გახდნენ, ხაზი გაუსვა ბ. ქარმალმა. მან მაღალი შეფასება მისცა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმას, აგრეთვე ზოგიერთ ღონისძიებას, რომელთა მიზანია მშრომელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ბ. ქარმალმა განაცხადა, რომ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია მტკიცდება ორგანიზაციულად, იზრდება პარტიის ახალ წევრთა რიგები, ფართოვდება სოციალური ბაზა, მაღლდება კადრის მუშაკთა კვალიფიკაცია, სულ უფრო ძლიერდება ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ავტორიტეტი ფართო მასებში. პარტიის გავლენა თავს იჩენს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სულ უფრო მეტი წრის საკითხების გადაწყვეტაში, თქვა მან.

ჩინეთის მხედრიონის პროვოკაციები

ჰანოი. ჩინეთის მხედრიონი კვლავ ამძაფრებს დაძაბულობას ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, მარტის პირველი ორი კვირის მანძილზე ვიეტნამის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებსა და ტერიტორიულ წყლებში ბევრი შეფარვალებული პროვოკაცია მოეწყო.

მაგალითად, 2 და 3 მარტს ჩინეთის ქვეგანაყოფები შეიჭრნენ კუანგნინის, ლაიტიაუსა და ხატუენის პროვინციების ტერიტორიებზე. ისინი ესროდნენ მშვიდობიან მცხოვრებთ, ნამავდნენ გზებს, ანერვიდნენ სახლებს, სპობდნენ ნათესებსა და პირუტყვს. ამგვარი პროვოკაციული გამოხდომები მოეწყო აგრეთვე 7, 9 და 13 მარტს მთელ რიგ სხვა პროვინციებში. ამავე დროს ჩინეთის შეიარაღებული გემები არაერთხელ შეიჭრნენ ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში, სადაც არ აცლიდნენ ვიეტნამელ მებადურებს მშვიდობიან შრომას.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, ჩინელ აგრესორებს საკადრისი პასუხი გასცეს ვიეტნამელმა მესაზღვრეებმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა.

განვლილი ორი წლის განმავლობაში ჩინეთის მხედრიონმა 4 ათასზე მეტი შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყო ვიეტნამის ჩრდილოეთ საზღვრებზე. ვიეტნამის ტერიტორიისათვის არტილერიით ცეცხლის დაშენის მრავალრიცხოვან შემთხვევები, დივერსიული ჯგუფების შემოგზავნა, ტერორისტული აქციები და დივერსიები დიდ ზიანს აყენებენ ვიეტნამის მეურნეობას. ამასთან ერთად მიმდინარეობს აქტიური ფსიქოლოგიური ომი, რომლის მიზანია, დაანინოს ვიეტნამის მოსახლეობა, ერთმანეთს წაჰკიდოს ქვეყნის მთიანი რაიონების მცხოვრებნი.

საგანგებო ხაზს უსვამს, რომ მთელი პასუხისმგებლობა პროვოკაციებისათვის პეკინის მმართველებს ეკისრება.

ფოტოინფორმაცია

რომი. იტალიის დედაქალაქში გაიმართა ხოლდაბრძოლა მასობრივი მანიფესტაცია. მისმა მონაწილეებმა ერთსულოვანი სოლიდარობა გამოუცხადეს სალვადორელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის რეაქციული სამხედრო-სამოქალაქო ხუნტის დასამხობად, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სურათზე: მანიფესტაციის დროს.

აპ-საკდესის ფოტო.

ᲛᲝᲚᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ტელეტაიპის ლენტიდან

დიპლომები „ჩინებული დიზაინისათვის“

● **ბერლინი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოთა 20-ზე მეტი ნიმუშის პროდუქციას მიენიჭა ლაიფციგის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობის საპატიო დიპლომები „ჩინებული დიზაინისათვის“. მათ შორის არის კომბინატ „კარლ ცაის იენის“ ხელსაწყოები, დედაქალაქის 7 ოქტომბრის სახელობის კომბინატის რთული ლითონდასამუშავებელი ჩარხები, სხვა ნაწარმი, რომლებსაც რესპუბლიკა აწვდის სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. ბევრი მათგანი შექმნილია საბჭოთა პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

„კლიმატექნიკის“ კრახი

● **ვენა.** მთელი ომისშემდგომი წლების მანძილზე ყველაზე დიდი გაკოტრება რეგისტრირებულია ავსტრიაში. კონკურენტულ ბრძოლას ვერ გაუძლო და გაკოტრდა ხელსაწყოთსაშენებელი ფირმა „კლიმატექნიკი“. მისმა დაკავალებამ შეადგინა უზარმაზარი თანხა — 2,4 მილიარდი შილინგი. „კლიმატექნიკის“ კრახს, როგორც ეკონომისტებს მიაჩნიათ, მოჰყვება მრავალი უფრო წვრილი ფირმის გაკოტრება.

მოლაპარაკება შეწყდა

● **ვაშინგტონი.** მეწარმეთა მიზეზით შეწყდა მოლაპარაკება სამთოელთა გაერთიანებულ პროფკავშირსა და ქვანახშირის შახტების მფლობელთა ასოციაციას შორის ახალი შრომითი შეთანხმების დადების თაობაზე. მეწარმეები უარს ამბობენ დაკმაყოფილონ მეშახტეთა კანონიერი მოთხოვნები ხელფასის მომატების და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ, ცდილობენ აიძულონ პროფკავშირები ხერხოწულ დათმობებზე წავიდნენ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲖᲘ

ლონდონი. ომის ფსიქოზის გამძაფრება დიდი ბრიტანეთის კონსერვატორთა მთავრობის პოლიტიკის განუყოფელი თვისება გახდა. როგორც გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო ახლა ახორციელებს ღონისძიებებს სამოქალაქო თავდაცვის პროგრამის გაფართოებასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი პროექტებისრეალიზაციის „დასაჩქარებლად“. კერძოდ, სწრაფი ტემპით შენდება მაწოსქვეშა თავშესაფარი, რომლებიც გათვალისწინებულია თბილისის აპარატისათვის „ომის შემთხვევაში“. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ, აწარმოონ შესაბამისი სამუშაოები „კოლექტიური საფრების“ შესაქმნელად, გარდა ამისა მუშავდება წესები, რომლებიც მოაწესრიგებენ რადიოგადაცემებს და სხვა ინფორმაციის გავრცელებას ომის დროს.

ინგლისის ხელისუფალნი მილიტარისტულ ისტერიას იმისათვის აჩაღებენ, რომ ინგლისელები დაწრფობონ ბირთვული ომის „გარდუვალობაში“, რითაც კონსერვატორთა კაბინეტი ცდილობს ქვეყნის საზოგადოებრიობის წინაშე გაამართლოს საომარი ხარჯების უპრეცედენტო გადიდება. 1981-82 ფინანსურ წელს ტეტჩერის კაბინეტი ამ მიზნებს მოახმარს ასტრონომიულ თანხას — 12,3 მილიარდ გირვანქა სტერლინგს. ამასთან ერთად კონსერვატორები დახმარებას არ უწევენ ეკონომიკის ნაციონალიზებულ დარგებს, კვეცავენ სახელმწიფო ასიგნებებს სოციალური პროგრამებისათვის, უწინარეს ყოვლისა განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და საბინაო მშენებლობის სფეროში.

ᲐᲛ ᲝᲠ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ

მოვლენათა მიმოხილვა

● სკკპ XXVI ყრილობის სამშვიდობო ინიციატივები მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია ● სალვადორელი კატრიოტები განაგრძობენ გმირულ ბრძოლას რეაქციული ხუნტის და მისი ამერიკელი მფარველების წინააღმდეგ.

რაც უფრო მეტი დრო გადის ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის მუშაობის დამთავრებიდან, მით უფრო ცხადი ხდება, რომ მისი გადაწყვეტილებები დიდი ხნით დაიჩნევს პოზიტიურ კვალს მსოფლიო საერთაშორისო ცხოვრებას. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კომუნისტების ფორუმი და მის მიერ წამოყენებული ახალი სამშვიდობო ინიციატივები კვლავ მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის ყურადღების ცენტრში დგას. აი, რას წერდა ამ დღეებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველ წრეებთან დაახლოებული გაზეთი „გენერალ-ანციგერი“: „შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელმძღვანელთის ლ. ი. ბრეჟნევის საგარეო-პოლიტიკურ გამოსვლას წინათ არასოდეს გამოუწვევია უცხოეთის საელჩოთა და პოლიტიკურ მეთვალყურეთა ასეთი ენერგიული და მრავალფეროვანი ანალიზური მოღვაწეობა“, რასაკვირველია, ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ნებისმიერი განცხადება თუ რომელიმე ფორუმზე გამოსვლა ყოველთვის ღრმა დაინტერესების და შესწავლის საგანი ხდება ხოლმე, და ეს, უპირველეს ყოვლისა, სოციალიზმის მსოფლიო ავტორიტეტითა და თანამიდევრული სამშვიდობო სტრატეგიით აიხსნება, მაგრამ გერმანული გაზეთი ერთ რამეში სწორია — უკანასკნელი წლების მანძილზე უპირველესენტოდ გართულებულმა საერთაშორისო ვითარებამ კიდევ უფრო გააძლიერა მსოფლიოს ინტერესი ყრილობისადმი. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში გაზეთი „ტოკიო სიმბუნს“, როდესაც ყრილობის დამთავრების შემდეგ წერდა, რომ „საერთო ყურადღება მიპყრობილი იყო ერთი კარდინალური საკითხისადმი, თუ რომელ კურსს აირჩევდა საბჭოთა კავშირი შექმნილ რთულ . ვითარებაში“. დღეს კი იგი სავსებით ნათელი და გარკვეულია — ეს არის დიალოგის, განიარაღებისა და მშვიდობის დაცვის კურსი.

მართალია, დაძაბულობის მთავარი კერა კვლავინდებურად ევროპა და დასავლეთი სამყაროა, სადაც პირისპირ დგას ორი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება, მაგრამ ახალმა საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებმა არანაკლები გამოხმაურება პოვა აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში. აი რამდენიმე განცხადება: პანამის საგარეო საქმეთა მინისტრი ხორხე ილიოჯა: „ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული იდეა მთლიანად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, მის ძირითად პრინციპებსა და მიზნებს“; იორდანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მირვინ ალ-ყასემი: „ახლო აღმოსავლეთის საკითხზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულ წინადადებებს შეიძლება ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება მოჰყვეს“, ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო „სენტრალ ნიუს სერვისი“: „ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული ახალი სამშვიდობო წინადადებები, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეზღუდვა, უაღრესად დროული, რეალისტური და კონსტრუქციულია“.

შეეხო რა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობას, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იაპონიის მმართველი წრეების საგარეო-პოლიტიკურ კურსში „ძლიერდება ნეგატიური მოვლენები“, და იქვე დასძინა: „ჩვენ არა გვგონია, რომ ეს, ასე ვთქვათ, ტოკიოს ბოლო სიტყვა იყოს, და ვიმედოვნებთ, რომ იქ მაინც გადასწონის შორსმჭვრეტელობა, საკუთარი ინტერესების გაგება. სსრ კავშირი კვლავინდებურად იმის მომხრეა, რომ მტკიცე, ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდეს იაპონიასთან“. რაც შეეხება იაპონიის მხარეს, როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, ჟურნალისტთა თხოვნით პრემიერმა სუძუკიმ განმარტა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება და დაახასიათა იგი როგორც „თავშეკავებულად შედგენილი საბჭოთა კავშირის ახალი მშვიდობიანი შეტევა“. ამავე დროს სუძუკიმ დასძინა, საჭიროა საბჭოთა კავშირმა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას ამ წინადადებათა განსახორციელებლად. გამოდის, რომ ცალმხრივი ღონისძიებები უნდა განახორციელოს (მერამდენედ!), რათა კაპიტალისტური სამყაროს ზოგიერთმა ლიდერმა მართლაც იწამოს მისი კეთილი განზრახვა.

ცხადია, საერთო ოპტიმისტური ატმოსფეროს მოწამვლას შეეცადა პეკინი. თავის პირველსავე საჯარო განცხადებაში დენ სიაოპინმა საგანგებოდ გაიფრთხილა პრეზიდენტი რეიგანი მეტი „სიფრთხილით“ მოჰკიდებოდა საბჭოთა კავშირის ინიციატივებს. პეკინისაგან სხვაგვარ რეგირებას არავინ მოელოდა, თუმცა მთავარი ის არის, რომ მსოფლიოს ხალხებმა და პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდმა უმრავლესობამ უკვე შეაფასეს ჩვენი პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი როგორც რეალური წვლილი მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ᲒᲐᲓᲐᲜᲘᲛᲔ დღის წინათ განმარტავდა რა რეიგანის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას სალვადორში ამერიკელ სამხედრო სპეციალისტთა გაგზავნის თაობაზე, ამერიკის ყოფილმა ელჩმა ამ ქვეყანაში უაიტმა განაცხადა, რომ ყოველივე ეს მას 60-იანი წლების დასაწყისს აგონებს, რომლისაც ვაშინგტონი ის-ის იყო ფართო მასშტაბით იწყებდა ვიეტნამის ავანტიურას. დღეს, ვინც ყურადღებით ადევნებს თვალს თეთრი სახლის პოლიტიკას სალვადორის მიმართ, სრული საფუძველი აქვს განაცხადოს — ასე იწყებოდა ვიეტნამი!

როდესაც შარმან დეკემბერში, ერთ-ერთი დილის მოხსენების დროს ბეჭედნისკიმ კარტერს მოახსენა სალვადორიდან მიღებული უსიამოვნო ცნობა სამხედრო ხუნტის მიერ ოთხი ამერიკელი მონაზონის დახოცვის შესახებ, პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება ხუნტისათვის სამხედრო და ეკონომიკური დახმარების „დროებითი შეწყვეტის“ შესახებ, მაგრამ უკვე 16 იანვარს, თეთრი სახლის დატოვებამდე ოთხი დღით ადრე, ადამიანის უფლებათა „დაუღალავმა დამცველმა“ კარტერმა საჯაროდ განაცხადა, რომ სალვადორის ხუნტა 5 მილიონი დოლარის იარაღს მიიღებსო, ხოლო 3 დღის შემდეგ, ესე იგი 19 იანვარს, ეს-ესე ეს ამერიკელთა შეგნებაში უსიამოვნო ასოციაციებს იწვევს და სულ უფრო ხშირად გაისმის: სწორედ ასე იწყებოდა ვიეტნამი!

როგორც ინგლისური „სანდი ტაიმსი“ წერს, სალვადორის პარტიზანული მოძრაობა ხუნტის შეიარაღებულ ძალებს აიძულებს თავდაცვას მიმართოს. პარტიზანთა ხელმძღვანელები, ისევე როგორც თვითონ პარტიზანები, უფრო რევოლუციონერები არიან, ვიდრე სამხედროები, და მათი შეიარაღებული აჯანყება პოლიტიკური ბრძოლაა.

განთავისუფლების სახალხო არმიის მასობრივი შევსება პრაქტიკულად მხოლოდ გასული წლის დამლევს დაიწყო. მებრძოლები ძირითადად გუშინდელი მშვიდობიანი გლეხები არიან, რომელთათვის ყველაზე დიდი სკოლაა მათი სამართლიანი ბრძოლა რეაქციული ხუნტის წინააღმდეგ. ბრძოლა კი სულ უფრო მძაფრდება. პარტიზანთა მორალური უპირატესობა დღეს პოლიტიკურ მეთვალყურეებს ერთ-ერთ გადამწყვეტ ფორმად მიაჩნიათ. ეს არის მართალი საქმის ისტორიული დასაბუთებული უპირატესობა, რომლის დაძლევა პრაქტიკულად ყველაზე თანამედროვე იარაღისა და დაჭირავებულთა არმის საშუალებითაც კი შეუძლებელია. ისტორიამ არაერთხელ დაამტკიცა ეს ელემენტარული ჭეშმარიტება და, თუ რეიგანის ადმინისტრაციას სურს ერთხელ კიდევ დარწმუნდეს ამაში, ალბათ ამის საშუალებაც ექნება ადრე თუ გვიან.

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

სად რა მოხდა

ვულკანი მკვინვარებს

რომი. იმის გამო, რომ ვულკანი ეტნა ამოიფრქვა, სიცილიის კუნძულზე დაძაბული ვითარება შეიქმნა. ლავის ნიაღვარმა 15 კილომეტრს მიაღწია. გავარვარებული მაგმით წალეკვის საფრთხე მოელის ბრონტეს, მალეტოს და რანდაცოს დასახლებულ პუნქტებს. დაბა მონტე-ლა-გუარდიაში ცხელი ნიაღვარი საცხოვრებელი ბინებიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით შეჩერდა. დაბის ყველა ოჯახი გახიზნეს.

ლავის შემოტევის შედეგად ხანძარი მოედო წიწვოვან ტყეს, განადგურდა ზეთისხილის ბაღები და ვენახების ათასობით ჰექტარი, გაწყდა დიდძალი საქონელი. ლავის ნაკადმა რკინიგზასაც მიაღწია, რომელიც ქვეყნის მსხვილ ადმინისტრაციულ ცენტრს — კატანიას ეტნის ძირას მდებარე სოფლებთან აკავშირებს, მიმოსვლა შეწყდა აგრეთვე საავტომობილო გზატკეცილებზე ვულკანის გარშემო.

კატანიის ვულკანოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ლ. ვილარმა განაცხადა, რომ ეტნის ახლანდელი ამოფრქვევა ყველაზე მძლავრია XX საუკუნეში.

ქარიშხალი თურქეთში

ანკარა. საათში 100 კილომეტრი სიჩქარის ძლიერმა ქარიშხალმა მთლიანად მოშალა თურქეთის დასავლეთი რაიონების ცხოვრება. უამინდობის გამო გაუქმდა საზღვაო გემების რეისები. დარდანელის სრუტეში მეჩეჩზე დაჯდა რუმინეთიდან მომავალი ლიბანის სატვირთო გემი. ბურსაში, იზმირსა და სხვა ქალაქებში ძლიერმა ქარმა სახლების სახურავებიდან მოგლიჯა რადიოდა ტელევანტენები, ჩაამსხვრია ფანჯრები.



ვაგონი „მაგნიტურ ბალიშზე“

ტოკიო. იაპონიაში გრძელდება ხაზოვანი ელექტროძრავ

მეხუთე ტომი „ერის საუნჯისა“



ჩვენს მკითხველს უკვე ხელთა აქვს ქართულ ენაზე პირველად შექმნილი და გამოცემული უნივერსალური ენციკლოპედიის ოთხი ტომი. ამ დღეებში გამოვიდა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეხუთე ტომიც. ეს ტომი მოიცავს ტერმინ-სტატიებს „თუთია“ — „კოქტეილი“, ესე იგი, ასო „თანზე“ გაწყობილი სტატიების ერთ ნაწილს, „ინს“ მთლიანად და „კანის“ მნიშვნელოვან ნაწილს — სულ 5493 ტერმინ-სტატიას.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ გამოცემული ხუთი ტომი უკვე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ზოგადად მაინც წარმოვიდგინოთ იმ სამუშაოს მასშტაბები, რომელსაც ეწევიან ამ გამოცემის მესვეურები — ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგია, მისი მრავალდარგოვანი სამეცნიერო საბჭოები და სექციები, რედაქციის მთელი კოლექტივი, რესპუბლიკის სამეცნიერო საზოგადოებრიობა. საკმარისია ითქვას, რომ ხუთივე ტომი აერთიანებს 25.922 ტერმინ-სტატიას, 217 ფიზიკურ ნაბეჭდ თაბახს, 854,54 საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახს, 28.569.530 სასტამბო ნიშანს.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ უნივერსალური პროფილის გამოცემაა. მისი უმთავრესი ამოცანაა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე გააშუქოს მსოფლიო ისტორიისა და თანამედროვეობის აქტუალური საკითხები, საკაცობრიო კულტურის მონაპოვრები, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის ხალხთა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი. ამიტომ არის, რომ 25.922 ტერმინ-სტატიიდან დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებს ეთმობა 3.688 სტატია, მსოფლიო ისტორიას — 2.813, ენასა და ლიტერატურას — 2.272, ხელოვნებას — 2.045, საბჭოთა კავშირის ისტორიას — 1.808, ფილოსოფიას — 626, ეკონომიკას — 697, სამართალს — 732, სახალხო განათლებასა და პედაგოგიკას — 630, მედიცინას — 921, ბიოლოგიას — 1.938, ფიზიკა-მათემატიკა-ქიმიას — 2.101, სოფლის მეურნეობას — 646, ტექნიკას — 1.610. უნივერსალურობასთან ერთად „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ მკაფიოდ ეროვნული ხასიათისაა. რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს გეოგრაფიისა (2.255 ტერმინი) და საქართველოს ისტორიის (865 ტერმინი) სტატიებზე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დარგის სტატიების ერთი ნაწილი მაინც ეძღვნება საქართველოს ან მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ საცნობარო ღირებულებას დიდად ზრდის ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებიც მრავალ სტატიას ერთვის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე რუკებს, ილუსტრაციებს, სქემებსა და ცხრილებს. სულ ხუთივე ტომში მოთავსებულია ღრმა ბეჭდვის 96 ჩანართი, მაღალი ბეჭდვის 40 ფერადი ჩანართი, 21 ფერადი ოფსეტური ჩანართი, 42 ფერადი ჩანართი რუკა, 274 სატექსტე შავ-თეთრი რუკა, 7800 ილუსტრაცია და სქემა.

როგორც „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მთავარმა რედაქტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ „კომუნისტის“ კორესპონდენტს უთხრა, ენციკლოპედიის მეექვსე ტომი უკვე სტამბაშია და ახლა მთავარი სიტყვა პოლიგრაფიულ ბაზაზეა, რომ მკითხველმა წლის ბოლოსათვის ეს ტომიც მიიღოს. ხოლო მეშვიდე, მერვე და მეცხრე ტომები თითქმის მზად არის სარედაქციო პორტფელში.

მომდინარე წელს საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით რედაქციამ მოამზადა აგრეთვე სპეციალური ტომი, რომელიც ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ეძღვნება. მასში მოცემულია საბჭოთა საქართველოს სახელოვანი გზა 60 წლის მანძილზე. ტომს ქართულ და რუსულ ენებზე მიიღებს მკითხველი.

არდადეგები, არდადეგები...

დადგა სკოლებში საგაზაფხულო შესვენების თითქმის ათდღიანი ხანა — შაბათს, 21 მარტს წკრიალა სკოლის ზარი 31 მარტამდე დადუმდება, სამაგიეროდ პარკები, ბაღები, კინო-თეატრები, სპორტული მოედნები, პიონერთა სასახლეები აივსება მოსწავლეთა ყივილ-ხვიელით.

სასეირნოდაც იკმარებენ გაზაფხულის მხიარულ კვირას ნორჩები. ვინ ტურისტული მარშრუტებით ეწევიან საბჭოეთის დედაქალაქს, ლენინურ ადგილებსა და ნამარ ქალაქებს; ახალი შეხვედრები, ახალი მეგობრები, ახალი შთაბეჭდილებებით აივსება დღიურები.

მაგრამ მარტო დასვენება როდი ელით ჩვენს ყმაწვილებს! მალე გაიმართება მუზათა შეჯიბრი: თვრამეტი ათასი ბავშვი ეწევიან სხვადასხვა რაიონიდან თბილისს — მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მეათე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე! — გვითხრა განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრის დირექტორმა თ. მდივანმა. — 23 მარტს გაიმართება პირველი კონცერტი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში; დიდი და მცირე სცენა დაეთმობა ჩვენი ნორჩების ქორეოგრაფიულ, ვოკალურ და ინსტრუმენტულ ансამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს. საბავშვო მუსიკალური კვირეულის პროგრამის ეს წამყვანი ღონისძიება სხვა სანახაობებითაც შეივსება, ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ილემეუცისა და თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის საბავშვო გუნდები ერთობლივ შეხვედრებს მოაწყობენ თავიანთ მსმენელებთან.

რესპუბლიკური მასშტაბით ჩატარდება სამავშვო და ახალგაზრდული წიგნის კვირეული. 25 მარტიდან ცნობილი ქართველი მწერლები იქნებიან ნორჩ მკითხველთა სტუმრები. გამომცემლობა „ნაკადულის“ ინიციატივით მრავალი საღამო გაიმართება, ნახატების ახალ ექსპოზიციას აწყობს სამავშვო სურათების გალერეა.

„ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის ნაკვალევზე“, — ასე ეწოდება ერთ-ერთი მოგზაურობის მარშრუტს, რომელიც საქართველოს გასაბჭოების მე-60 წლისთავს მიეძღვნება.

არდადეგების საერთო ღონისძიებებს შეუერთდება და შეუწყვილდება თითოეული სკოლის ცალკეული გეგმა, სპორტული სანახაობანი, რომლებშიც უპირატესად ეროვნულ თამაშობათა სახეები გამოჩნდება.

აი ასე ჩაიმარკვლება საგაზაფხულო არდადეგების ლამაზ დღეთა კრიალოსანი.

ლ. მიქაძე.

,,კომუნისტის“ ფოტოარქივი მოგვითხრობს





სურათებზე: (ზემოდან): სცენები აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებიდან „დონ კარლოსი“, „კლდის სიმღერა“ და „თეთრი ბაირაღები“.

მ. ტარასოვის ფოტო.

პროსპექტი იერს იცვლის

სამშენებლო ხარაჩოებშია რუსთაველის პროსპექტი. მიმდინარეობს ქალაქის ცენტრალური მაგისტრალის განახლება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავის დღესასწაულის წინ. შენობათა ფასადებს ღებავენ მედეგი სინთეზური საღებავებით. ასობით არქიტექტურულ დეტალს აღადგენენ „თბილისფასადმშენის“ სამმართველოს გამოცდილი ოსტატები.

რუსთაველის პროსპექტი, ლენინის სახელობის და რუსთაველის სახელობის მოედნები პირველად გადაჰყავთ ელექტროენერგიის მიწისქვეშა მიწოდების ერთიან სისტემაზე. ერთიორად გაიზრდება პროსპექტის განათება: აქ დაიდგმება სამიდან თორმეტ მეტრამდე სიმაღლის 120-ზე მეტი ახალი ლამპიონი და ლამპარი.

(საქინფორმი).

ბ. შანბას სახელობის აფხაზურ სახელმწიფო დრამატულ თეატრს 50 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე მცირე თეატრალური ჯგუფიდან მაღალპროფესიული, ძლიერი დასი ჩამოყალიბდა. გასული წლის მიწურულს თეატრი „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვეს, ახლა კი მის საიუბილეო თარიღს ვზეიმობთ.

ჩვენი კორესპონდენტი ი. გობეჩია ეწვია აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრს, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს ა. არღუნს და სთხოვა მას ამ ღირსსახსოვარ თარიღთან დაკავშირებით მოეთხრო ჩვენი მკითხველებისათვის აფხაზური თეატრის სახელოვან ნახევარსაუკუნოვან გზაზე:

სახელოვანი გზა

აფხაზური პროფესიული თეატრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე დაემთხვა საქართველოსა და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მესამოცე წლისთავს, — თქვა ა. არღუნმა.

მცირერიცხოვანი აფხაზური თეატრალური კოლექტივები, რომლებსაც სოხუმში აფხაზეთის სახალხო პოეტი დ. გუთალია და ონაჰარეში ცნობილი პედაგოგი პლატონ შაჯილი ხელმძღვანელობდნენ, თავიანთ პირველ ნაბიჯებს სცენებზე იწყებდნენ ჯერ კიდევ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მეზეკეკური მთავრობის მუდმივ დევნასა და მუქარას განიცდიდნენ. ამიტომ ამ კოლექტივებს მაშინ შემოქმედებითი ზრდის საშუალება არც ჰქონდათ.

დღეისათვის აფხაზური თეატრი რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიული კოლექტივია, არსებობის 50 წლის მანძილზე აფხაზი დრამატურგების პიესების გარდა მის სცენაზე იდგმება ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო კლასიკის წარმომადგენლების—გოგოლის, გორკის, ოსტროვსკის, შექსპირის, შილერის, ვერჰაპიდეს, ლოპე დე-ვეგას, მოლიერის, გარსია ლორკას და სხვათა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები.

აფხაზურმა საბჭოთა თეატრმა, რომელმაც აირჩია რუსული რეალისტური, ქართული გმირული თეატრების საუკეთესო ტრადიციები, იკაფავდა რა თავის დამოუკიდებელ გზას, იწყო განვითარება, სვლა ხელოვნების მწვერვალებისაკენ. თეატრმა ბევრი რამ გააკეთა აფხაზური ორიგინალური ეროვნული დრამატურგიის განვითარებისათვის. ამ საქმეში მცირე ღვაწლი როდი მიუძღვის საზოგადო მოღვაწესა და პედაგოგს კ. ძიძარიას, რომელიც აფხაზური დრამატურგიის ერთი პირველი ორგანიზატორი იყო.

თეატრის დაარსების დღიდან მის შემოქმედების ატმოსფეროში ჩაება მრავალი ცნობილი დრამატურგი, რეჟისორი, მხატვარი, ისინი უშუალოდ. მონაწილეობდნენ ავტონომიურ რესპუბლიკაში ეროვნული თეატრის დაგეგმვაცებაში. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ რუს რეჟისორს ვასილ დომოგაროვს და მის მოწაფეებს ანიზ აგრბას, შარახ ფაჩალიას და კაჭიყაროდ-ოღლის.

აფხაზური თეატრის განვითარებაში დაუფასებელი წვლილი შეიტანეს ქართული სცენის ცნობილმა მოღვაწეებმა ა. ხორავამ, ა. ვასაძემ, დ. ალექსიძემ, ა. თავზარაშვილმა, ი. თავაძემ და სხვებმა, რომლებმაც აფხაზური თეატრისათვის მსახიობთა თაობები აღზარდეს.

უკანასკნელი წლების მანძილზე თეატრში მოვიდნენ ახალგაზრდა რეჟისორები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში დაამთავრეს. მათ შორის თავიანთი შემოქმედებითი ძალებით გამოირჩევიან დ. კორტავა, გ. მარხოლია, ხ. ჯოპუა, გ. სულიკაშვილი, ნ. ჩაქოვანი და სხვები.

50 წლის მანძილზე აფხაზურმა თეატრმა საკმაო შემოქმედებითი გამოცდილება დააგროვა; როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობების აფხაზ მსახიობებს ერთნაირად ეხერხებათ გმირული და კომედიური როლების განსახიერება. ამის დამადასტურებლად შეიძლება დავასახელოთ სპექტაკლები „კიარაზი“, „რეგიზორი“, „ცხვრის წყარო“, „ხანუმა“, „ოტელო“, „ირშინ მალალა“, „მირის კლდე“, „დანაყი“, „შიშველი მეფე“ და სხვ.

აფხაზური სცენა ღირსეულად ამაყობს ისეთი მსახიობებით, როგორიც არიან აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტები შარახ ფაჩალია, აზიზ აგრბა, ლუარსან კასლანია, ეკატერინე შაკერბაია, მარიკა ფაჩალია, მიხეილ კოვე, მინადორა ზუხბა. მათ გზას ღირსეულად განაგრძობენ საშუალო თაობის მსახიობები ე. ქამკია, ს. აგუმა, ე. კოღონია, ვ. მაანი, შ. გიცბა, ა. ტანია, ჭ. ჯენია, ნ. ლაკობა, ვ. აბლოთია, რ. ჯოპუა, ა. ერმილოვი, ლ. გიცბა, ს. საქანია, თ. ლაგვილავა.

უკანასკნელ წლებში აფხაზურმა თეატრმა დადგა რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი, რომლებმაც მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. ასეთებია ბ. შინკუბას „კლდის სიმღერა“, ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“, შილერის „დონ-კარლოსი“, შ. ჭკადუას „ალოუ ბრაზობს“, ს. ფაჩალიას „ყოველის შემძლე მაზლოუ“, ა. უკბას „მზის დაბნელება“ და სხვ.

თეატრის ცხოვრებაში საინტერესო მოვლენა იყო უკანასკნელ წლებში მსახიობთა ახალი ნაკადით შევსება. მათ დაამთავრეს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და თან ჩამოიტანეს რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი, რომლებმაც ღირსეული ადგილი დაიკავა თეატრის რეპერტუარში.

თავისი არსებობის პერიოდში თეატრმა არაერთხელ იმოგზაურა მოსკოვში, თბილისში, კიევში, დნეპროპეტროვსკში, ნიკოლაევში, ჩერკასკში, ბათუმში, მახარაძეში, ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა ქალაქში და მისი გასტროლები ყოველთვის ინტერესს იწვევდა.

აფხაზური თეატრის ყოველი სპექტაკლი ჩვენი ეპოქის შუქით არის განათებული. იგი იქცა საბჭოური, კომუნისტური იდეების პროპაგანდის მძლავრ კულტურულ ცენტრად.

აფხაზური თეატრი 50 წლისაა

სახელოვანი გზა

გილოცავთ, მეგობრებო!

ორმოცდაათი წელი თეატრის ისტორიისათვის შეიძლება ბევრი არ იყოს, მაგრამ ამ ხნის მანძილზე აფხაზურმა საბჭოთა თეატრმა სწორედ თავისი ისტორია შექმნა, რომელიც თავისთავადია, გამორჩეულია და აფხაზური ხელოვნების ერთ-ერთი მოწინავე დარგია.

მე ძალიან მიყვარს სოხუმი, ქალაქი, სადაც ეს შესანიშნავი თეატრი არსებობს. ხშირად ჩავდივარ ხოლმე იქ და ჩემი აფხაზი მეგობრების სპექტაკლებსაც ვნახულობ. მხიბლავს შ. ფაჩალიას, ლ. კასლანიას, ეკ. შაკერბაიას, მ. ზუხბას, მ. ფაჩალიას, მ. კოვეს, ს. აგუმას, ე. კოღონიას და სხვათა სამსახიობო ხელოვნება.

გულით მივესალმები ყოველ მათგანს ამ საზეიმო დღეს და მივულოცავ თეატრის 50 წლის ღირსშესანიშნავ იუბილეს.

ვერიკო ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩვენი საერთო ზეიმი

მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა მივეულალმო ჩემს აფხაზ ძმებს, კოლეგებს, მივულოცო მათ აფხაზური თეატრის 50-ე წელი.

მოხარული ვარ იმიტომ, რომ მეც მიძღვის წილი აფხაზური საბჭოთა თეატრის აღმშენებლობაში. რა დამავიწყებს იმ დღეებს, როდესაც თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში პირველი სპექტაკლები დავდგი აფხაზი სტუდენტების მონაწილეობით. დღეს ეს სტუდენტები სახალხო და დამსახურებული არტისტები არიან ამ მზიური რესპუბლიკისა. დაუვიწყარია ისიც, რომ აფხაზი სტუდენტების მონაწილეობით ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლისათვის „იმედის დაღუპვა“ მე აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტის სპპაციო წოდება მომენიჭა.

დღეს უკვე ახალ მწვერვალებს მიაღწია 50 წლის იუბილარმა თეატრმა და მისი ყოველი სპექტაკლი საყურადღებო მოვლენაა ხოლმე რესპუბლიკის ცხოვრებაში.

სულ ახლ წინსვლით ევლოთ ჩვენს თანამოძმეთ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დადგმებით გაემდიდრებინოთ აფხაზეთის თეატრალური ხელოვნების ისტორია.

დიმიტრი ალექსიძე,
საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ბუნებაა შემოქმედია

ყვავილი არქიტექტორის ხელში

ფერილი მესამე



როცა პუშკინს ან გალაკტიონს კითხულობ, არ შეიძლება არ ჩაგაფიქროს რითმათა ჰარმონიამ. ჭეშმარიტი პოეტის ხელში შინაარსობრივად, თითქოსდა სრულიად განსხვავებული სტრიქონები და სიტყვები ერთურთს „ეკონება“, ერთიანლოგიკურ ძაფად ერთიანდება და ლექსის ნატიფ ქსოვილად იგება.

ხშირად ნატურალისტსაც პოეტივით ემართება: ბუნების სრულიად განსხვავებულ მოვლენებში არაერთ საერთო შტრიხს პოულობს, და, თუ მათ უფრო ღრმად ჩაუკირკიტებს, შესაძლებელია მნიშვნელოვანი კანონზომიერებანიც დაადგინოს.

გეოგრაფიის ძველ სახელმძღვანელოში ვხვდებოდით ასეთ ნაბატს: ქოლგის ფორმის იტალიური ფიჭვი პინია გამოსახული იყო მბოლავი ვეზუვის ფონზე. ცეცხლმფრქვეველი მთის თავზე აღმართული ორთქლისა და გაზის ვებერთელა სვეტი ფორმით უცნაურად წაგავს მის ახლოს მოზარდ პინიას. ასეთი მაგალითი უამრავია ბუნებაში და ამიტომ იბადება კითხვა: შემთხვევითია თუ არა ეს მსგავსება?

ნებისთ თუ უნებლიეთ იბადება კითხვა: ხომ არ არსებობს რაიმე მიზეზები, რომლებიც სხვადასხვა ბუნებისა და წარმოშობის საგნებს უჩვეულო მსგავსებას ანიჭებს? დავუბრუნდეთ ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებს. აღმოჩნდება, რომ ხეც, ვულკანიც და ყუმბარის ღრუბელიც, სოკოც, შადრევანიც — ყველაფერი ეს სხვადასხვა სისწრაფითა და სიძლიერით მიიღტვის ცისკენ. სიმაღლისაკენ ეს ლტოლვა გრძელდება, სანამ დედამიწის მიზიდულობის ძალა არ შეაჩერებს მათ და კვლავ დედამიწისაკენ არ მოაბრუნებს. მეტ-ნაკლებად იგივე ძალა ანიჭებს ერთნაირ ფორმებს ყველაფერ მოზარდსა და ზემოთ მოყვანილ.

ახლა ტყის ულრანში შევიხედოთ. დამბალი კუნძების, გამხმარი თუ მოზარდი ხეების, ბუჩქების, მათი ტოტებისა და ფოთლების ათასგვარ ფორმებში შეიძლება განა რაიმე გეომეტრიული კანონზომიერების პოვნა? თურმე შეიძლება. საერთო კანონია ის, რომ მოზარდ ხეებს ვერტიკალური ზრდა აქვთ. ტანბრეცილი და ქონდარა ხეები ტყის საერთო დამახასიათებელ სურათს ვერ ქმნიან. მაგრამ თუ ხეს თავისი ენერგიაზედა ღერო-ტოტებით წარმოვიდგენთ ხელმეორედ გაგვახსენდება იგივე სოკო, ვულკანი, შადრევანი და ა. შ. მაგრამ ხეს ფოთოლიც აქვს. არც მისი ფორმაა შემთხვევითი, ისიც მკაცრ კანონზომიერებას ემორჩილება. ფოთლის ფირფიტის ერთი მხარე მეორის სარკისებურ გამოსახულებას წარმოადგენს. მსგავსი სიმეტრიის მქონე საგნებსა თუ სხეულებს „სიბრტყულ“ ანუ „ფოთლის სიმეტრიას“ უწოდებენ. ორი ერთნაირი ნახევრისაგან შედგება ყვავილებზე მოფუსფუსე პეპელაც, ხოჭოც, ტაეში ჩვენი ერთგული თანამგზავრი — ძაღლი და, ბოლოს, თვით ჩვენც.

რამდენადმე განსხვავებულ სურათს ქმნის ტყის ველობზე მოზარდი გვირილა. ამ ყვავილს რამდენიმე გვირგვინის ფურცელი აქვს. თითოეულ ფურცელზე შეიძლება აღმოვაჩინოთ სიბრტყეული სიმეტრია, რაც ცენტრში გადაკვეთი მსგავსი სიმეტრიების მთელ მარაოს ქმნის. ასეთ სიმეტრიას „სხივურ-რადიალურს“ უწოდებენ. დადგენილია, რომ დედამიწის ზედაპირიდან ვერტიკალურად მოზარდი ან მოძრავი საგნებისა თუ ორგანიზმების უმრავლესობა რადიალურ-სხივურ სიმეტრიას ემორჩილება, დედამიწის ზედაპირიდან ჰორიზონტალურად ან დახრილად მოზარდ-მოძრავთა უმრავლესობა კი — სარკისებურ, ანუ ფოთლის სიმეტრიას. ორივე სიმეტრია დედამიწის მიზიდულობის ძალის „ტყვეობაშია“.

აქამდე ყურადღებას საგანთა საერთო კონტურებზე ვამახვილებდით. მაგრამ ხეს ტანზე ტოტები, ხოლო ბალახს ღეროზე — ფოთლები აქვს. ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩიმ, შესანიშნავად იცოდა, რომ ზრდა ტოტების თუ ღეროზე ფოთლების შემაერთებელი ხაზი „ზრახნს“, ანდა „სპირალს ქმნის. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, ზემოთ დახასიათებული სიმეტრიის არც ერთ ტიპთან არა გვაქვს საქმე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სიმეტრიის გლობალური კანონი ბუნებრივ სხეულთა მხოლოდ გარეგნულ ფორმაზე ვრცელდება. სხეულთა ცალკეული დეტალები კი ორივე სიმეტრიის კანონის ფარგლებს მიღმა რჩება. ბუნება აქ ცოტას „ეშმაკობს“. ცდილობს რა, როგორმე აუქციოს მხარი დედამიწის მიზიდულობის ძალას, ყოველივე მოზარდი ცაში პირდაპირ, ისარივით კი არ მიისწრაფვის, არამედ მოძრაობა ნაკლებად შესამჩნევი სპირალური პრინციპით. ბუნებაში ამგვარი ზრდით განსაკუთრებით მცენარეები გამოირჩევიან. მაგრამ გამოცანებით აღსავსე, მრავალფეროვან მეკროკოსმოსტრუქციებს ჩვეულებრივი ოვალისთვის უხილავ სამყაროში ეყრება საფუძველი. ელექტრონულ მიკროსკოპიაზე დამაგრებული სპეციალური ობიექტივის დახმარებით შესაძლებელი გახდა ცოცხალ ორგანიზმთა ფორმის ხუთი ძირითადი ტიპის განსაზღვრა. ესენია: „სპირალი“, „ბურთულა“, „მილი“, „ხე“ და „ვარსკვლავი“.

სიმეტრიის მსგავს კანონებში გარკვევა ადამიანს ეხმარება მყარი ნაგებობების აგებაში. იგი თავიდან გვაშორებს საშენი მასალების ზედმეტ ხარჯვას. შორს რომ არ წავიდეთ, საალუსტრაციოდ გვეყოფოდა თბილისის სპორტის სასახლე, კონსოლური ქოლგით ნახევრად გადახურული, იშვიათი სიმსუბუქის „დინამოს“ სტადიონი, ბაქოს ზღვისპირა სანაპირო პარკში დადგმული ნაგებობა, რომელიც დიდი ზომის მოლუსკის — ტრადაკანას ნიჟარას სრულ ორეულს წარმოადგენს...

ცოცხალი ბუნება საუკეთესო მშენებელი, უდიდესი არქიტექტორია. და ეს არც არის გასაკვირი: ობობა ხომ თავის ქსელს 500 მილიონი წელია ქსოვს, ხოლო ფუტკარი ფიჭას სულ ცოტა 50 მილიონი წელია აგებს. არქიტექტურული ბიონიკა (ქალაქთმშენებლობაში ბუნების ფორმების გამოყენება) მეცნიერების ახალი მიმართულებაა. მას ნაოელი მომავალი უწინასწარმეტყველა თანამედროვეობის უდიდესმა არქიტექტორმა ლე კორბუზიერმ.

ა. გეგეჭკორი.

სურათზე: ზღვის მოლუსკის არქიტექტურა.

ავტორის ფოტო.

ყაბალი

ეროვნული ფესვები

ახალი მეტოქე „ფეიენოორდი“

ციურიხში გაიმართა ევროპული ტურნირების ნახევარფინალისტთა წილისყრა. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში თბილისის „დინამოს“ ფეიბურთელთა მეტოქე იქნება „ფეიენოორდი“ (პოლანდია, როტერდამი). პირველ მატჩს დინამოელები 8 აპრილს გამართავენ საკუთარ მოედანზე, ხოლო 22 აპრილს — სტუმრად.

„ფეიენოორდი“ ჰოლანდიის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასის, 1970 წლის საკონტინენტთაშორისო თასისა და უეფას 1974 წლის თასის მფლობელია. 1960 წელს თბილისის „დინამომ“ უმასპინძლა მას და ამხანაგური მატჩი მოუგო ანგარიშით 3:1. ამჟამად „ფეიენოორდი“ ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „კარლ ცაისი“ (გდრ) და —ბენფიკა“ (პორტუგალია).

ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ: „რეალი“ (სპანეთი)-„ინტერი“ (იტალია), „ლივერპული“ (ინგლისი)-„ბაიერნი“ (გფრ). უეფას თასის გათამაშების ნახევარფინალში კი „იფსვიჩი“ (ინგლისი) შეხვდება „კოლნს“ (გფრ), „სოშო“ (საფრანგეთი) — „აზ-67“-ს (ჰოლანდია).

სატურნირო ორბიტა

ბაკურიანი. ბუქარესტში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის ფედერაციებისა და რესპუბლიკის, პოლონეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და სსრ კავშირის მოჭადრაკეები. ეს შეჯიბრება დაუბარცხებლად დამთავრა მოსკოველმა ო. დოლმატოვმა და 10,5 ქულით პირველობა მოიპოვა.

ბელგრადში გრძელდება 8 მარტისადმი მიძღვნილი მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. 8 ტურის შემდეგ 6,5 ქულით ლიდერობს მოსკოველი ლუდმილა ზაიცევა. თბილისელ ნინო გურიელს 6 ქულა აქვს. შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა 3 ტური.

ზაზი. ლენინგრადში გრძელდება სსრ კავშირის ჩემპიონატი საერთაშორისო ზაშში. თორმეტი ტურის შემდეგ ლიდერობს განტვარგი — 8 ქულა 10 შესაძლებელში. დიბმანსა და ცოტესსაც 8-8 ქულა აქვთ, მაგრამ 12-12 ნათამაშევი პარტიიდან.

ძალოსნობა. ლვოვში მიმდინარე მეგობრობის თასზე XX საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა მოსკოველმა ა. ავსეტოვმა (67,5 კგ-მდე წონა). მან ორჯეფში 322,5 კგ დაგროვა (145-177,5) და სსრ კავშირის რეკორდიც დამყარა. მანვე ატაცში დამატებითი ცდისას დაძლია 148,5 კგ და მსოფლიო რეკორდის მფლობელიც გახდა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამა წლის 29 მარტს, 11 საათზე აბიტურიენტთა და საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის აწყობს

„ღია კარის დღეს“

უნივერსიტეტში ბოსულ აბიტურიენტებს შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტება. არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე მათ პასუხს გასცემენ რექტორატის, პარტიული. და კომკავშირული კომიტეტების, აგრეთვე გაერთიანებული პროფკომის წარმომადგენლები. გაიმართება საუბრები ფაკულტეტების სტრუქტურის, მეცნიერების ცალკეული დარგებისა და მათი სპეციფიკის შესახებ.

გასული წლების მისაღები გამოცდების საგნობრივი კომისიების თავმჯდომარეები ისაუბრებენ მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ.

უნივერსიტეტის საპატო დარბაზში 15 საათზე მოეწყობა შეხვედრა რექტორატისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტების წარმომადგენლებთან. ფაკულტეტების მიხედვით შეხვედრები გაიმართება:

1. ფილოლოგიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, იურიდიული, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, გეოგრაფიისა-გეოლოგიის ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის — მაღალი კორპუსში (ინ. ჭავჭავაძის № 2).

3. ბიოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის — მესამე კორპუსში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 11).

4. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის — მეხუთე კორპუსში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 36).

5. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის — მეექვსე კორპუსში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 8).

6. მექანიკა-მათემატიკის, კიბერნეტიკის და გამოყენებითი მათემატიკის, ეკონომიკის, საგარეო-ეკონომიკურ, საინჟინრო-ეკონომიკურ, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონლმცოდნეობის ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის — მაღალი კორპუსში (უნივერსიტეტის ქ. № 2).

მიმღები კომისია.

ეს საინტერესოა

ჩვენი ავტომობილი

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს გაზეთში „გამოქვეყნდა წერილი „ლონკას“ ბორბლები აღარ სჭირდება“. წერილთან დაკავშირებით რედაქციაში მრავალი წერილი მოვიდა, რომელთა ავტორები გვთხოვენ ცალკე ვუამბოთ ავტომობილის წარსულსა და აწმყოზე.

მსოფლიო მასშტაბით საავტომობილო წარმოება XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო. 1900 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოუშვეს 4.192 ავტომობილი, საფრანგეთში — 2.000, იტალიაში — 5 355. სულ ამ წლისათვის მსოფლიოში 11000-მდე ავტომობილი იყო.

რუსეთ-ბალტიის ვაგონმშენებელმა ქარხანამ პირველი ავტომობილი 1908 წელს შექმნა და 1915 წლამდე, სანამ ქარხანა დაიხურებოდა, 451 ცალის გამოშვება შეძლო.

პირველი საბჭოთა სატვირთო ავტომობილი მოსკოვში 1924 წელს გაიკეთეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ იაროსლავლში პირველი მსუბუქი ავტომობილი „ნამი“ I გამოუშვეს.

ცხადია, ავტომობილთა რიცხობრივმა ზრდამ გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევები. პირველი ავტოავარია, რომელიც სიკვდილით დამთავრდა, ინგლისში აღინუსხა 1896 წელს, როდესაც 44 წლის ბრიჯიტ დრიზკოლს ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაზე გადასვლის დროს მანქანა დაეკახა და იქვე გაათავა. /ადანაშაულებდნენ რა მძღოლს, პრესაში წერდნენ, რომ ეგი „თავბრუდამხვევი“ სიჩქარით — საათში რვა კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდაო.

დიახ, ავ